

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში: საკრებულოს მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ

დღევანდელი ჩემი ანგარიში ერთგვარი შეჯამებაა ჩვენი ერთწლიანი საქმიანობისა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო საქმიანობას შეუდგა 2017 წლის 20 ნოემბრიდან. ამ ხნის მანძილზე საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩევებს. რიგ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა იყო ცხარე კამათი, პრობლემების გადაჭრისათვის მიდგომის განსხვავებული პოზიციები და იყო რათქმაუნდა ხარვეზები ამ პრობლემების მოგვარების გზების შერჩევაში.

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც თვითმმართველობის განხორციელების პროცესში წამყვანი როლი ეკისრება. საკრებულო არის თვითმმართველობის უმთავრესი ინსტიტუცია და პოლიტიკური ხასიათის ორგანო, რომლის არჩევით მოსახლეობა გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების გადაჭრისა და შესაძლებლობების რეალიზების გზებისადმი. ადამიანები ხმას აძლევენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მათი აზრით უკეთ გამოხატავენ თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს. ამიტომ საკრებულოში არჩევნების შედეგად პროპორციულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ სოციალური ჯგუფის ინტერესი. საკრებულოს აქტიურობაზე დამოკიდებული მოსახლეობისგან წამოსული ინტერესების მხარდაჭერა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი გათვალისწინება.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულია 29 საკრებულოს წევრი, რომელიც წარმოადგენს ოთხსაარჩევნოსუბიექტს: „ქართული ოცნება“, დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-სქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო-ბაქრამე, უგულავა“, საკრებულოში დაფუძნებულია 5 ფრაქცია: „ქართული ოცნება“, ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 29 საკრებულოს წევრიდან 14 მაჟორიტარი დეპუტატია.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, უნდა შეესაბამებოდეს უპირატესი იურდიული ძალის მქონე აქტებს, რასაც განუხრელად ვიცავდით განვლილ საანგარიშო პერიოდში. საკრებულოს კომისიებში და საკრებულოს აპარატში მომზადებული სამართლებრივი აქტები, ძირითადად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. რათქმა უნდა გვქონდა შენიშვნები სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის სამსახურიდან იმის თაობაზე, რომ

მიღებულ სამართლებრივ აქტებში ცალკეული მუხლები იყო კანონშეუსაბამო, ასევე აპარატს ჰქონდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზთა გამო.

მე არ შეუდგები დეტალურად იმის გაანალიზებას თუ რამ გამოიწვია კანონშეუსაბამო ან ტექნიკური ხარვეზები. კონკრეტულად, რომელი სამსახურის ბრალია ეს, მაგრამ ერთი რამ არის ცხადი, რომ საკითხების მიწოდება საკრებულოს შესაბამის კომისიებში და საკრებულოს აპარატში, რიგ შემთხვევებში არ ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში, პროექტების წარმოდგენის ვადებზე საუბარი არ უნდა იყოს ისეთ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს მიერ ყოველ კვარტალურად მტკიცდება და ცნობილია, როგორც მერიის შესაბამისი სამსახურებისათვის, ასევე საკრებულოს კომისიისათვის, ყოველი თვის დასაწყისში საკრებულოს აპარატი აგზავნის შეტყობინებას იმ სამსახურებში, რომელსაც ევალება საკრებულოს მორიგ სხდომაზე გეგმიური საკითხის მომზადება. მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში, საკითხის განხილვა გვიწევს ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში და დაზღვეულია არა ვართ ხარვეზებისაგან.

საკრებულო, საკრებულოს კომისიების და საკრებულოს ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატი, რომელიც შესდგება 6 პროფესიული საჯარო მოხელისაგან და დამატებით სხვადასხვა დამხმარე და არამუდმივი ფუნქციების შესრულებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული გვყავს რამდენიმე საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების შესაბამისად, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ყოველკვარტალური შეფასების მეთოდი ახლად მიღებული თანამშრომლების მიმართ. შეფასების არსი მდგომარეობს შემდეგში: , პროფესიულად თუ ყალიბდება ესა თუ ის საჯარო მოხელე, როგორია მისი მომზადების დონე შემდგომი კარიერული განვითარებისათვის. შეფასების შედეგად, ამ თუ იმ მოხელეს შესაძლებელია მიენიჭოს კლასი, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება მისი სწავლებისა და გადამზადებისათვის, რაც დაფინანსებული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. აპარატის მოხელეთა შეფასებისათვის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის ბრძანებით დამტკიცებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები

გასულ 2018 წელში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებებს დაექვემდებარა საკრებულოს აპარატის ექვსივე თანამშრომელი, წლის გამავლობაში ჩატარებული იქნა სამი შუალედური და ერთი საბოლოო შეფასება, აპარატის უფროსი სპეციალისტების შეფასებას ახდენდა საკრებულოს აპარატის უფროსი, ხოლო აპარატის უფროსის საქმიანობას აფასებდა საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კრიტერიუმები იყო:

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ცვლილებებისა და სიახლეების უნარი;

- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- დროის ეფექტური მართვა,
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი.

შეფასება ხდებოდა ოთხდონიანი ქულებით, ხუთივე უფროსმა სპეციალისტმა საბოლოო შეფასებისას მიიღო „კარგი“ შეფასება.

გასულ 2018 წელში აპარატის თითქმის ყველა თანამშრომელი იმყოფებოდა სხვადასხვა ტრენინგზე, სულ ასეთ 8 ტრენინგში საკრებულოს აპარატის 3 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა

რაც შეხება იმას, თუ როგორ ასრულებს თითოეული მათგანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ქვემოთ მოგახსენებთ:

განვიხილოთ საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, ჩატარდა 27 საკრებულოს სხდომა, მათ შორის 11 რიგგარეშე, სულ მოწვეული იქნა და ჩატარდა ბიუროს 35 სხდომა, საკრებულოს ამ პერიოდში განხილული აქვს 204 საკითხი და მიღებულია შესაბამის გადაწყვეტილებები ყველა საკითხზე, მათ შორის დადგენილება გამოტანილია 94 საკითხზე, ხოლო განკარგულება 109 საკითხზე, საკითხების ასეთი სიმრავლე ჩვენი საქმიანობის დასაწყისში განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ მოხდა კომისიების ხელახალი არჩევა, ფრაქციების დაფუძნება, საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევა, გამგეობის სახელწოდების შეცვლის გამო სათანადო ცვლილებები შევიდა საკრებულოს მიერ მანამდე მიღებულ ყველა სამართლებრივ აქტში. რიგგარეშე სხდომებზე განხილულია 48 საკითხი. ჩატარებულია ფრაქცია „ქართული ოცნება“ -5 სხდომა, განხილულია 7 საკითხი.

2018 წელში საკრებულოს სხდომებზე განხილული 157 საკითხიდან მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ინიციატივით შემოსულია 91 საკითხი, განვიხილოთ საანგარიშო პერიოდში სხდომების მოწვევასა და ჩატარებაში ჩავარდნას ადგილი არ ჰქონია, ყველა მორიგი სხდომა ჩატარდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში, გადატანილი იქნა რამდენიმე დღით მხოლოდ ერთი ნოემბრის სხდომა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით.

საკრებულოს ყველა სხდომა ტარდებოდა ღიად და საჯაროთ, მოსახლეობას ქონდა საშუალება აკონტროლოს საკრებულოს საქმიანობა, საკრებულოში მიმდინარე ყველა პროცესი გამჭვირვალეა, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომები ტარდება ღიად და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს მას. ყველა მოთხოვნა ფიზიკური და იურდიული პირებისაგან საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, რომლის მომზადებასა და გაცემაზე პასუხისმგებელია საკრებულოს აპარატი, მიეწოდებოდათ შეუფერხებლად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომის მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, დღის წესრიგი და სხდომების ჩატარების ადგილი, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს წევრებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის

მემშვეობით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლიდან ფუნქციონირებას განაახლებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, შეგვეძლება ყველა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სხდომების მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მივაწოდოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვებგვერდის საშუალებით. მინდა აქვე დავძინო, რომ ძალიან ხშირად ვერ ვიცავთ საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს საკითხების მომზადების, წინასწარ გამოქვეყნებისა და კომისიებში განხილვის პროცედურებს. თხოვნა გექნებოდა მუნიციპალიტეტის მერისადმი მეტად გაზარდოს და გაამკაცროს კონტროლი მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისადმი, რათა საკრებულოდან შესული კორესპოდენციებსა და მიმართვებზე, დროულად იქნეს რეაგირება და დაიცვან კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ვადები საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წარმოდგენისას.

ჩვენი საქმიანობის მეტი საჯაროობის, მოქალაქეების ინფორმირებულობისა და ჩვენს საქმიანობაში მეტი ჩართულობის მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება საკრებულოს ცალკე ჰქონდეს პიარის სამსახური, რომელსაც გაუძღვება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე

რამდენიმე წინადადებით მინდა შევეხო საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობას:

განვიღო საანგარიშო პერიოდში 2018 წელში აპარატის მიერ საკრებულოს კომისიებთან ერთად მომზადდა და ჩატარდა **65** სხდომა, განხილული იქნა **193** საკითხი, მათ შორის:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს **14** სხდომა, განხილულია **22** საკითხი, (მათ შორის ერთი გაფართოებული და ერთი გაერთიანებული).

2. ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიამ ჩატარა **17** სხდომა განიხილა **50** საკითხი (მათ შორის ერთი გაერთიანებული)

3. განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ **13** სხდომაზე განიხილა **32** საკითხი (მათ შორის ერთი გაფართოებული).

4. გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომისას წლის განმავლობაში განხილული აქვს **15** საკითხი, ჩატარა **11** სხდომა საკითხი (მათ შორის ერთი გაფართოებული).

5. იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის **13** სხდომაზე განხილულია **81** საკითხი.

საკრებულოს კომისიების ერთობლივი საქმიანობის ეფექტურობის მიზნით, გავზარდეთ კომისიათა ერთობლივი სხდომებისა და გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის ორი გაფართოებული და კომისიათა სამი გაერთიანებული სხდომები.

პატივცემულო კოლეგებო,

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს წევრებს ჰქონდათ განვილი საანგარიშო პერიოდში შენიშვნები მერიის სამსახურების მისამართით, მაგრამ იგი არ გასცდენია ჩვენს უფლება-მოვალეობებს. აქვე მინდა დავძინო, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს კანონით აქვს მინიჭებული აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისადმი ზედამხედველობა და კონტროლი, ხშირად ამ ბერკეტს არ ვიყენებთ, მაშინ როცა ჩვენს მოსახლეობას ცალკეული საკითხებისადმი და არსებული პრობლემებისადმი აქვს სამართლიანი შენიშვნები. კიდევ ერთხელ შევახსენებ და მოუწოდებ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს აკონტროლონ დარგს მიკუთვნებული საკითხები და ღრმად ჩასწვდნენ მიმდინარე პროცესებს.

ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა საქართველოს პარლამენტის წევრთან, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან, მისი როგორც მთის საბჭოს წევრის აქტიურობით, დღეს სოფელი ხანი და მისი მაცხოვრებლები ფლობენ მთის სტატუსს, რაც გარკვეულ შეღავათებს უწესებს აქ მცხოვრებ პენსიონერებს, პედაგოგებს და ა.შ. ამ კუთხით მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მუშაობა გრძელდება, რათა სოფელებმა ზეგანმა და საკრალამ მიიღოს ეს სტატუსი. მაჟორიტარი დეპუტატი ასევე მთელი წლის განმავლობაში ჩართული იყო 2019 წლის ბიუჯეტის შედგენისა და ფორმირების საკითხებში, თავად მიიღო მონაწილეობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცებაში.

საკრებულოს აპარატში გასულ 2018 წელში შემოსული და რეგისტრირებულია 271 სხვადასხვა სახის განცხადება, მომართვა თუ კორესპოდენცია. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია 23 განცხადება, 27 მოქალაქემ მოგვმართა სხვადასხვა საკითხებზე. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, განმეორებით ერთდა იმავე საკითხზე მომართვას ადგილი არ ჰქონია. გარდა ერთეული შემთხვევისა დოკუმენტის შესრულებაზე ან საკითხის მომზადებაზე ვადების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ჩემს ანგარიშში მინდა რამდენიმე წინადადებით შევებო 2019 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის საკითხებსა და მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვადასხვა მიმართულების პროექტების შესრულების მდგომარეობას. გასულ წელთან შედარებით მუნიციპალური ბიუჯეტი 2019 წლისათვის გაიზარდა 1064. ათასი ლარით, რამაც საშუალება მოგვცა პირველად ბოლო წლების მანძილზე გამოგვეყო დაახლოებით 300.0 ათასი ლარი ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე დაფინანსების პროექტების განსახორციელებლად, როგორცაა შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების შეკეთება და ა.შ. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების კუთხით. გასულ წელში რეგიონალური

განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 8 პროექტი, რომელთაგან დასრულებულია 7, დასრულების პროცესშია 1 პროექტი (ვადა გაუგრძელდა სოფელ ხანის პროექტი). ამ პროექტების შესრულების საკასო მაჩვენებლით ჩვენი მუნიციპალიტეტი პირველია რეგიონის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის ბოლოს, დეკემბერში დამატებით მივიღეთ 1700.00 ათასი ლარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, შევძელით სამუშაოთა დიდი ნაწილი დაგვეწყო და დაგვესრულებინა. ჯამში 2018 წელში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე მუნიციპალიტეტში დაიხარჯა 5.0 მილიონამდე ლარი. მომავალი წლისათვის წარდგენილი გვაქვს 11 პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულება არის 6.628.340 ლარი. ნაწილი ამ თანხისა 2.658.340 ლარი მივიღეთ და გამოვაცხადეთ ტენდერები. ძირითადად საწყისი თანხა მივმართეთ გარდამავალ საგზაო პროექტებზე და ფერსათი - შუბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე, რისთვისაც მიმდინარე წელში გამოვყავით 1806580 ლარი. აღდგენილი იქნა და მიმდინარე წელში კვლავ განახლდა სოფლი მხარდაჭერის პროგრამა, მართალია დაშვებული თანხა იმ რაოდენობის არ არის რაც გასულ წელში, მაგრამ რიგი საკითხების გადაწყვეტა ადგილზე სოფელში შესაძლებელია. შეხვედრები თითოეულ სოფელში ჩატარებულია, აღნიშნული თანხის მიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. აქვე მინდა აღვნიშნო მთავრობის მხარდაჭერის შესახებ, 2018 წლის 30 ნოემბერს ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გაწეული დახმარების თაობაზე, ყველა ჩვენი მიმართვა გათვალისწინებული იქნა და 200.00 ათასი ლარი ჩაერიცხა მუნიციპალიტეტს, რათა სტიქიისაგან დაზარალებული ჩვენი მოსახლეობისათვის შეგვეძინა საამშენებლო მასალები.

მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სოფლის მხარდაჭერის პროგრამების გაგრძელების თაობაზე, რაც საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ გადავწყვიტოთ სოფლის მოსახლეობის მიერ დაყენებული პრობლემები. მიმდინარე წელში ამ კუთხით მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოიყო 346.0 ათასი ლარი, ყველა სოფელში ჩატარდა დასახლებათა კრება, გამოიკვეთა საკითხები, რომლის განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობის სოციალური ყოფითი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების გაწეული საქმიანობა, რაშიც აქტიურად არის ჩართული საკრებულოს წევრები. ისევე, როგორც გასულ წელს, მიმდინარე წელში შევძელით გაგვეზარდა ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური დახმარების პროგრამების დაფინანსება. 2017 წლის ფაქტიურ დანახარჯთან შედარებით აღნიშნული პროგრამის დაფინანსება მიმდინარე წელში გაზრდილია 106.0 ათასი ლარით. გასულ საანგარიშო პერიოდში სამედიცინო კუთხით, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო კვლევებს, ოპერაციების თანადაფინანსებისა და მედიკამენტებით დახმარებას, გახარჯულია 137.400 ათასი ლარი, სოციალურად შეჭირვებულ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 310 ოჯახს გაეწია 44.0 ათას ლარზე მეტი ფინანსური დახმარება. მიმდინარე წელში აღნიშნულმა პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწა და შესაძლებლობა გვექნება, მეტ ჩვენს თანამოქალაქეს დავეხმაროთ.

ჩვენი საქმიანობის ერთი წლის მანძილზე შევძელით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით შემუშავებულიყო მუნიციპალიტეტის შემდგომი ეკონომიკური წინსვლისათვის ისეთი პროექტები, როგორცაა „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების

სამოქმედო გეგმა“ და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულო. გეგმის პროექტი მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ექსპერტების მიერ შეფასდა უმაღლესი ქულით და გამოცხადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან წარდგენილ გეგმებში საუკეთესოდ და უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ დაჯილდოებაზე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერს გადაეცა დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიის ინიცირებით მომზადდა საკითხი და საიჯარო ქირა განესაზღვრა საქართველოში მოქმედ ინტერნეტ-პროვაიდერებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციები გამოიყენონ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისა და სხვა მოწყობილობების განთავსებისათვის, რაც დამატებითი შემოსავალია ადგილობრივი ბიუჯეტისათვის.

2018 წელში მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ საპრივატიზებოდ მომზადდა 17 ობიექტი, აუქციონი გამოცხადდა და საპრივატიზებოდ გატანილი იქნა 14 ობიექტი, რომლის პრივატიზების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში 300.0 ათას ლარზე მეტი თანხა იქნა მობილიზებული. 68 მოქალაქეს პირად საკუთრებაში დაუკანონდა მათ სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებული ქონება, რომელიც არსად არ იყო აღრიცხული წლების განმავლობაში, ისინი ფლობდნენ და ვერ იყენებდნენ ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ცალკე მინდა გამოვყო ჩვენი კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები, რომელიც ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა. გასულ წელს ამ მიმართულებით, მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, აქტივობები და სხვა სახის რეფორმები გავატარეთ. ფუნქციური გარდაქმნები მოხდა რიგ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებში, ა.ა.იპ „ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე გაერთიანების, იმ სეგმენტში, რომელიც ბაგა-ბაღებს აერთიანებს, საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის შესახებ“ მოთხოვნებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკრებულომ ინიცირება გაუკეთა და დაამტკიცა ის აუცილებელი სტანდარტები, რომელსაც მომავალში უდა აკმაყოფილებდეს ამ სეგმენტში ყველა მომუშავე პერსონალი.

კულტურული ღონისძიებებიდან გამოვყოფდი მუნიციპალიტეტის არსებობის ისტორიაში პირველი ეკო-ფესტივალის ჩატარებას, რომელსაც საკმაო მხარდაჭერა და გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია აღნიშნული ფესტივალის ორგანიზატორები აპირებენ ანალოგიურის გაკეთებას, რუსეთსა და გერმანიაში, მნიშვნელოვანი იყო ასევე პოლონეთის ქ. ლისომიციესთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება, დელეგაციების გაცვლა. გარკვეული წარმატებები ჰქონდა ჩვენს სახალხო თეატრსა სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ჩვენი სპორტსმენები მრავალი საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ.

საკრებულოს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობას. მინდა ავღნიშნო, რომ საკრებულოში არჩეულია 14 მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც რეალურად ფლობენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, აქტიურად არიან

ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად კეთილ მოეწყო სოფლის ინფრასტრუქტურული ობიექტები, მთლიანად შეიცვალა სოფელ როხის ცენტრის იერსახე, სოფელ დიმის ცენტრის დასუფთავებისათვის მუდმივად გამოიყო დასუფთავების სამსახურიდან ერთი თანამშრომელი. საერთოდ დასუფთავების და ნარჩენების გატანის საკითხები მუნიციპალიტეტში მოწესრიგდა, ჩვენმა ერთმა სოფელმა პირველმა ობჩამ, სპეციალური პრიზიც მიიღო ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში.

მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგია, ის, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი რომელიც დაწყებული იქნა 2018 წელში დამთავრებულია ან დამთავრების სტადიაშია და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დასრულდება. აქტიურად მიმდინარებს მუშაობა მიმდინარე წელში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების შერჩევისა და დროულად დაწყებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატების წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოში საკითხების განხილვის დროს არსებულ ოპოზიციურ განწყობას. განვლილი მუშაობის პერიოდში ხშირად იყო საკითხების განხილვის დროს განსხვავებული აზრი, ზოგჯერ კონსტრუქციულიც. ეს არ შეეხება მხოლოდ საკრებულოში წარმოდგენილ ოპოზიციურ პარტიებს, რადგან უმრავლესობაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ცალკეული საკითხებისადმი, მაღლობა მათ ოპონირებისათვის და იმედია ეს განწყობა მომავალშიც გაგრძელდება.

და ბოლოს,

მინდა მაღლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

შალვა მშვილდაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე